საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

11/03/2022 N 40/ო

„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.646; №26.01.45.642) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N69/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.646; №26.01.45.642) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N69/ო ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), შპს ,,სობრანიეს” (ს/კ: 425365375) მინდობილი პირის მამუკა მენთეშაშვილის(პ.ნ. 01024053502) 2021 წლის 14 მაისს №2757/01 განცხადების საფუძველზე მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე და გაცემულ იქნა შესაბამისი დავალება.

ამავე ბრძანებით სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს დაევალა შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება დაინტერესებულ პირთან, მამუკა მენთეშაშვილთან.

ბრძანების მე-3 პუნქტით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადა, ამასთან, ბრძანების №2 დანართის (განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დავალება) მე-6 პუნქტით დაკონკრეტდა დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპები, კერძოდ, საბაზისო მონაცემების, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის წარმოდგენისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის წარმოდგენისთვის - ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვე. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და დაინტერესებულ პირს, მამუკა მენთეშაშვილს შორის 2021 წლის 25 ივნისს გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება №6/21. მამუკა მენთეშაშვილის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

2022 წლის 10 და 25 თებერვალს შპს ,,სობრანიეს” (ს/კ: 425365375) მინდობილმა პირმა მამუკა მენთეშაშვილმა №676/01; №997/01 განცხადებებით მომართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

განმცხადებელმა ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან და გეგმარებით არეალში შემავალ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №26.01.45.783 (წინა საკადასტრო კოდი: №26.01.45.646), სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით ,,ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2022 წლის 20 იანვრის №2-02/22 მიღებული დადებითი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოითხოვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N69/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეტანილი იქნეს ცვლილება „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.646; №26.01.45.642) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N69/ო ბრძანებაში, დანართი №1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულის ცვლილების, ბრძანების მოქმედების ვადის და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მუხლის შესაბამისად.

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.646; №26.01.45.642) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N69/ო ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.642) სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“**

ბ) პრიამბულის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის 14 მაისს №2757/01 განცხადებით მომართა შპს ,,სობრანიეს" (ს/კ: 425365375) მინდობილმა პირმა მამუკა მენთეშაშვილმა (პ.ნ. 01024053502),განმცხადებელმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოთხოვნილ იქნა ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №26.01.45.644; №26.01.45.645; №26.01.45.642) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.“

გ) დანართი N1 ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართი N1-ით.

დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ უნდა იქნეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში“.

ე) დანართი №2-ის 6.1 და 6.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. საბაზისო მონაცემები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია - წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 18(თვრამეტი) თვის ვადაში.

6.2. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი - წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.“.

2. დაევალოს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შპს ,,სობრანიეს” (ს/კ: 425365375) მინდობილი პირის მამუკა მენთეშაშვილის(პ.ნ. 01024053502) შორის 2021 წლის 25 ივნისს გაფორმებულ №6/21 ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: შპს ,,სობრანიეს” (ს/კ: 425365375) მინდობილი პირის მამუკა მენთეშაშვილის 2022 წლის 10 და 25 თებერვალის №676/01; №997/01 განცხადებები; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 7 თებერვლის №18/ო ბრძანებით დამტკიცებული ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2022 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი №2-06/22.

ირაკლი ქარსელაძე

მინისტრი